

ადმინისტრაციული დაკავება

პირის ადმინისტრაციული დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომლის გამოყენებაც დასაშვებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად. პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად და სხვა. პოლიცია ადმინისტრაციულ დაკავებას ხშირად იყენებს ისეთი გადაცდომებისთვის როგორებიცაა: წერილობრივი ხელიწერა, ან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

ადმინისტრაციული წესით დაკავების შემთხვევაში, უფლება გაქვთ მოითხოვოთ:

- განმარტება დაკავების საფუძვლების შესახებ;
- ადვოკატთან დაკავშირება, დაკავების ფაქტის და ადგილსამყოფლის შეტყობინება ახლობლებთან, სამუშაო და სასწავლო ადგილის ადმინისტრაციასთან (ტელეფონის ჩამორთმევის შემთხვევაშიც);
- უფლება გაქვთ უარი განაცხადოთ ალკოჰოლური სიმთვრალის დამადასტურებელი ტესტირების (შემოწმების) ჩატარებაზე. **დაიმახსოვრეთ:** უარის თქმის უფლება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენა ხორციელდება, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიმართ;
- უფლება გაქვთ უარი განაცხადოთ ოქმზე ხელმოწერაზე, თუ არ ეთანხმებით ოქმის შინაარსს, ოქმში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და არ ადასტურებთ თქვენს მიერ, ოქმში აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენას;
- უფლება გაქვთ, ოქმში შეიტანოთ შენიშვნა, რომელიც უნდა დაადასტუროთ ხელმოწერით.

დაიმახსოვრეთ: ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმში შესაბამისი ჩანაწერი კეთდება

ადმინისტრაციული დაკავების ვადა და პირობები

- პოლიციელს არ აქვს უფლება დაკავებული პირი დააყოვნოს დაკავების ადგილას ან პოლიციის მანქანაში. პოლიციელი ვალდებულია, ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევაში, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში;
- დაკავების შესახებ უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ოქმის შემდგენი პირის შესახებ; ინფორმაციას დაკავებულის პიროვნების, დაკავების დროის და ადგილის შესახებ. ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს ოქმის შემდგენის თარიღი და ადგილი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველზე დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს, ხოლო თუ დაკავება არასამუშაო დროს ემთხვევა, დაკავებული შესაძლოა დროებითი მოთავსების იზოლატორში საქმის განხილვამდე მოთავსდეს. ასეთ შემთხვევაში, დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

პირის ნარკოტესტირებაზე გადაყვანა

ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით, პოლიციელი უფლებამოსილია საექსპერტო დაწესებულებაში გამოსაკვლევად გადაიყვანოს პირი, თუ: უშუალოდ შეესწრო ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს; პირი ცდილობს მიმაღვას ან თავს არიდებს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შესრულებას; არსებობს ოპერატიული ან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული ინფორმაცია ან „112“-ში შესული შეტყობინება პირის მიერ ნივთიერების უკანონოდ მოხმარების შესახებ.

ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის შემთხვევაში, უფლება გაქვთ:

- საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის საფუძველზე, უარი განაცხადოთ ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე და ექიმის მიერ კლინიკურ დათვალიერებაზე;
- მოითხოვოთ ადვოკატთან დაკავშირება, დაკავების ფაქტის და ადგილსამყოფლის შეტყობინება ახლობლებთან, სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციასთან (ტელეფონის ჩამორთმევის შემთხვევაშიც);
- მოითხოვოთ გათავისუფლება, თუკი არ არსებობს თქვენი დაკავების სხვა საფუძველი;
- გაასაჩივროთ მოსამსახურის ქმედება ან/და გამოკვლევის შედეგები.

პოლიციელს/საექსპერტო დაწესებულების თანამშრომელს უფლება არ აქვს:

- ბიოლოგიური მასალის მისაღებად განახორციელოს ზეწოლა;
- შევიზღუდოთ საპირფარეოთი სარგებლობა;
- დაგაყოვნოთ საექსპერტო დაწესებულებაში, თუ უარს აცხადებთ ბიოლოგიური მასალის ჩაბარებაზე

დაიმახსოვრეთ: გამოკვლევის პროცედურა ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე და მოსამსახურე ვალდებულია, მოგაწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია

მძლოთა ნარკოტესტირება

თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მძლოლი სატრანსპორტო საშუალებას მართავს ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, პოლიციას უფლება აქვს, მოგთხოვოთ სატრანსპორტო საშუალების გაჩერება და ჩამოგაშოროთ სატრანსპორტო საშუალების მართვას. ასეთ შემთხვევაში, პოლიცია უფლებამოსილია:

- პორტატული ნარკოტესტერის მეშვეობით შეამოწმოს, იმყოფება თუ არა მძლოლი კონკრეტული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;
- თუ ნარკოტესტერმა დაადგინა, რომ მძლოლი იმყოფება კონკრეტული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, გადაიყვანოს მძლოლი კლინიკური და ლაბორატორიული შემოწმებისთვის;
- მძლოლის მიერ, ნარკოტესტერით შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირდაპირ გადაიყვანოს მძლოლი საექსპერტო დაწესებულებაში, ზემოქმედების ფაქტის/სიმთვრალის დასადგენად.

დაიმახსოვრეთ: კლინიკური ან/და ლაბორატორიულ გამოკვლევაზე უარის თქმის შემთხვევაში, ნარკოტესტირების დადებითი პასუხი მიიჩნევა, კლინიკური სიმთვრალის დამადასტურებელ ფაქტად.

გამოსაკვლევი პირის უფლებები და მოვალეობები

კონკრეტული ნივთიერების ზემოქმედების ფაქტის დადგენის პროცესში, თქვენ გაქვთ უფლება:

- მოითხოვოთ საკუთარი ხარჯით ალტერნატიული გამოკვლევის ჩატარება, **კონკრეტულად:**
- გამოკვლევიდან 2 საათის განმავლობაში საკუთარი ხარჯით მოითხოვოთ კლინიკური გამოკვლევის განმეორებით ჩატარება;
- გამოკვლევიდან 14 დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯით მოითხოვოთ ბიოლოგიური მასალის ლაბორატორიული გამოკვლევის განმეორებითი ჩატარება;
- ალტერნატიული გამოკვლევის ჩატარების მიზნით, მოითხოვოთ ბიოლოგიური მასალის ერთი თვის ვადით შენახვა;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.


დაიმახსოვრეთ!

თუ მიიჩნევთ, რომ პოლიციის ქმედებით დაირღვა თქვენი უფლებები, უფლება გაქვთ:

- გაასაჩივროთ პოლიციის ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში;
- მიმართოთ საქართველოს სახალხო დამცველს, მის რაიონულ ოფისებს, მათ შორის ცხელი ხაზის მეშვეობით 1481;
- ისარგებლოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზით – 126, მიმართოთ გენერალურ ინსპექციას განცხადებით ან საჩივრით და მოითხოვოთ სამსახურებრივი შემოწმება;
- მიმართოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ცხელ ხაზზე – 199, პოლიციის მიერ თქვენზე ძალადობის ან ძალადობის მუქარის შემთხვევაში;
- უფასო იურიდიული კონსულტაციის ან/და იურიდიული დახმარებისთვის, მიმართოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.



რე უნდა ვიცოდეთ პოლიციასთან კონტაქტის დროს



პოლიციელის მიერ პირის გამოკითხვა

პოლიცია, სამოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს. პოლიციას შეუძლია ვინაობის დასადგენად შეგაჩეროთ, გამოგკითხოთ პერსონალური მონაცემები და მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის რომ თქვენ ჩაიდინეთ, ან ჩაიდენთ სამართალდარღვევას.

პოლიციელის მიერ თქვენი გაჩერების და გამოკითხვის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ:

- უფლება გაქვთ, მოითხოვოთ განმარტება თუ რის საფუძველზე გაგაჩერათ პოლიციამ;
- გამოკითხვის შემთხვევაში, მის დაწყებამდე პოლიციამ უნდა განგიმარტოთ რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია და შეგიძლიათ მასზე უარი განაცხადოთ;
- თქვენ პოლიციელისთვის მხოლოდ პერსონალური მონაცემებისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის ვალდებულება გეკისრებათ;
- იმ შემთხვევაში თუ სხვაგვარად (სახელი/გვარის მითითებით, პირადი ნომრის მეშვეობით ან სხვა) პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია, პოლიციელს აქვს ფოტოსურათის გადაღების უფლება;
- პოლიციელი ვალდებულია, ფოტოსურათი გადაიღოს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული ტექნიკური საშუალების გამოყენებით. პოლიციელს არ აქვს უფლება, ფოტოგადაღების მიზნით გამოიყენოს პირადი მობილური ტელეფონი;
- თუ გარეგნული ნიშნით შეუძლებელია პოლიციელის იდენტიფიცირება, თქვენ შეგიძლიათ მოსთხოვოთ მას, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, თუკი ეს ხელს არ უშლის მისი ფუნქციების შესრულებას.

პირის მოწვევა პოლიციაში

პოლიცია უფლებამოსილია, გასაუბრების მიზნით მიგიწვიოთ პოლიციაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის რომ ფლობთ პოლიციის საქმიანობისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

პოლიციაში მოწვევის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ:

- პოლიცია ვალდებულია, განგიმარტოთ მოწვევის საფუძველი;
- პოლიციაში გამოცხადება და პოლიციის დატოვება ნებაყოფლობითია, გამოუცხადებლობის შემთხვევაში თქვენ არ შეიძლება დაგეკისროთ რაიმე სახის პასუხისმგებლობა;
- მოწვეულ პირთან გასაუბრების შესახებ პოლიციელი ვალდებულია, შეადგინოს გასაუბრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მოწვეული პირი და ოქმის შემდგენი სამართალდამცავი. მოწვეულ პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ხელმოწერაზე, ან ოქმში შეიტანოს შენიშვნა, რომელიც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით;
- მოწვეული პირის პოლიციაში ყოფნის ვადას არეგულირებს კანონი და სრულწლოვანი პირის შემთხვევაში ის არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

გამოკითხვა და მოწმედ დაკითხვა სისხლის სამართლის საქმეში

თუ თქვენ ფლობთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესაძლოა გამოიკითხოთ დაცვის ან ბრალდების მხარის მიერ. დაიმახსოვრეთ, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია და დაუშვებელია პირის იძულება ინფორმაციის გაცემის ან მტკიცებულების წარმოდგენის მიზნით. მოწმის სტატუსით, სავალდებულო წესით, შესაძლოა დაიკითხოთ მხოლოდ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე.

გამოკითხვის და მოწმედ დაკითხვის შემთხვევაში, გაითვალისწინეთ:


- გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, ვალდებული ხართ, გამოძიებას სწორი ინფორმაცია მიაწოდოთ საქმესთან დაკავშირებით თქვენთვის ცნობილი ფაქტების შესახებ;
- გამოკითხვაზე თანხმობის გაცემისას ან სასამართლოში დაკითხვისას, არასწორი ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- გამოკითხვისას/მოწმის სტატუსით სასამართლოში დაკითხვისას, გაქვთ უფლება ისარგებლოთ ადვოკატის მომსახურებით, საკუთარი ხარჯით;
- შეგიძლიათ არ გაცეთ ინფორმაცია რომელიც გიკავშირდებათ უშუალოდ თქვენ ან/და თქვენს ახლო ნათესავს. (საპროცესო მიზნებისთვის, ახლო ნათესავია: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული))
- მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა. სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე უარის თქმამ, შესაძლოა გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სპეციალური საპოლიციო კონტროლი (რეიდი)

სპეციალური საპოლიციო კონტროლი (ე.წ.) რეიდი, შესაძლოა განხორციელდეს შინაგან საქმეთა მინისტრის წერილობითი ბრძანების საფუძველზე. რეიდი ხორციელდება წინასწარ შერჩეული ადგილას და განსაზღვრული დროით იმ შემთხვევაში თუ, არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის რომ ჩადენილია, ან ჩადენილი იქნება დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა.

სპეციალური საპოლიციო კონტროლის/რეიდის დროს გაითვალისწინეთ, რომ:

- რეიდის დროს შესაძლოა მოხდეს პირის ნივთის, ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული შემოწმება/დათვალიერება;
- ზედაპირული შემოწმება გულისხმობს ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელით ან სპეციალური ხელსაწყოთი შეხებას;
- ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – მისი საბარგულის ვიზუალური დათვალიერებაც იგულისხმება;
- სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას, პოლიციის თანამშრომელი აღჭურვილი უნდა იყოს ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული ვიდეო-გადამღები ტექნიკით, რომლითაც უწყვეტ რეჟიმში ხდება ვიდეოგადაღება.



დაგვიკავშირდით: ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
ქ. თბილისი, ი. აბაშიძის N12 ბ; 032 2 2 233 706; info@emc.org.ge

